



მწვანე ალტერნატივას შენიშვნები

კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. წინარეხის მიმდებარედ, 12.877 ჰა ფართობის ტერიტორიაზე, ღია კარიერული წესით 2 552 116 ტონა კირქვის მოპოვების პროექტის სკრინინგის განცხადებაზე

19 მაისი, 2022

გარემოსდაცვითი და სოციალური სამართლიანობისთვის საქართველოში

2022 წლის 11 მაისს გარემოს ეროვნული სააგენტოს ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა [სკრინინგის განცხადება](#) კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. წინარეხის მიმდებარედ, 12.877 ჰა ფართობის ტერიტორიაზე, ღია კარიერული წესით 2 552 116 ტონა კირქვის მოპოვების პროექტის შესახებ.

პროექტი უნდა დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას შემდეგ გარემოებათა გამო:

1. სოფელ წინარეხში, კატაულას მთაზე კირქვას აქტიურად მოიპოვებენ. ამჟამად, ტერიტორიაზე რვა ლიცენზიაა გაცემული, რომელთა საერთო ფართობი თითქმის 40 ჰექტარს მოიცავს. კატაულას მთა და, შესაბამისად, კირქვის მოქმედი კარიერები სოფელთან ძალიან ახლოსაა. უახლოესი სახლები კარიერიდან 100-200 მეტრის დაშორებით მდებარეობს. კარიერებზე მიმდინარე აფეთქებითი სამუშაოების გამო, წარსულში წინარეხის არაერთ მაცხოვრებელს სახლი დაეზარა. მოსახლეობა კატაულას მთაზე კირქვის მოპოვების შედეგად, ტრადიციულ სარგებლობაში არსებული სასაძოვრე და სათიბი მიწების კარგვასაც უჩივის.

ტერიტორიაზე უკვე მოქმედი ლიცენზიებით გამოწვეული კუმულაციური ზემოქმედების გათვალისწინებით, აუცილებელია, რომ ახალი ლიცენზიის გაცემისას საფუძვლიანად იქნას შესწავლილი აღნიშნული ლიცენზიის მოქმედებით მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება ადგილობრივ გარემოსა და მოსახლეობაზე და სათანადოდ შეფასდეს კუმულაციური ზემოქმედების ხარისხი; განსახილველი ლიცენზიის მასშტაბი გარემოზე ზემოქმედების შეფასების საჭიროებას განსაკუთრებით ზრდის, რადგანაც ლიცენზია საკმაოდ ვრცელ, 13 ჰექტარამდე ტერიტორიას მოიცავს და ათი წლის განმავლობაში 2.5 მილიონი ტონა კირქვის მოპოვებას გულისხმობს. თავისი მასშტაბით, აღნიშნული ლიცენზია არსებულ ლიცენზიათა შორის რიგით მეორე ყველაზე დიდია.

2. მოპოვების პროექტის სკრინინგის ანგარიშის სახით წარმოდგენილია მხოლოდ გეოსაინფორმაციო პაკეტი, რომელიც არ მოიცავს არანაირ ინფორმაციას გადაწყვეტილების მიღებისთვის მთავარი ფაქტორის - პოტენციური ზემოქმედების ხასიათისა და დონის შესახებ. გეოსაინფორმაციო პაკეტში მოცემულია მხოლოდ ტექნიკური მონაცემები წიაღისეულის მოპოვების ობიექტის მახასიათებლების შესახებ. რაც შეეხება საქმიანობის ისეთ მახასიათებლებს, როგორცაა, მაგ: ნარჩენების წარმოქმნა, ხმაური და ა.შ, სკრინინგის განცხადებაში ნათქვამია - „აღნიშნული დამოკიდებულია სამუშაოების წარმოების პროცესზე და წინასწარ არ ვფლობთ ინფორმაციას, თუ რა სახის ზემოქმედება შეიძლება მოახდინოს აღნიშნულმა საქმიანობამ გარემოზე“.

თბილისი, 0179, საქართველო
ფალიაშვილის ქ. 39b, IV სართ.
ტელეფონი: (995 32) 222 38 74
ელ. ფოსტა: greenalt@greenalt.org
ვებ-გვერდი: www.greenalt.org

3. გეოსაინფორმაციო პაკეტში აღნიშნულია მხოლოდ ობიექტის კასპიდან დაშორების მაჩვენებელი, რაც შეადგენს 7-9კმ-ს; თუმცა, არ არის აღნიშნული ყველაზე მნიშვნელოვანი - რა მანძილითაა დაშორებული დაგეგმილი პროექტის ტერიტორიიდან სოფელი წინარეხი და ყველაზე ახლომდებარე სახლები.

4. როგორც ცნობილია, წიაღითსარგებლობის ლიცენზიის გაცემამდე ლიცენზიის გაცემის საკითხი უნდა შეთანხმდეს ადგილობრივი მუნიციპალიტეტის თვითმმართველობასთან. თუმცა, გამოცდილება აჩვენებს, რომ ეს პროცესი მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს, უმეტეს შემთხვევაში ადგილობრივი თვითმმართველობა საკითხის გაუაზრებლად, მექანიკურად იძლევა თანხმობას და ლიცენზიის გაცემის შესახებ ინფორმაციას არც ადგილობრივ მოსახლეობას აწვდის. მოსახლეობა ლიცენზიის გაცემის შესახებ მხოლოდ მას შემდეგ იგებს, რაც კომპანია წიაღის მოპოვებას იწყებს. ეს ხშირად ხდება დაპირისპირების მიზეზი მოსახლეობასა და ლიცენზიანტს შორის. ამის მაგალითი გვაქვს სოფელ წინარეხშიც; ადგილობრივების თქმით, წარსულში ლიცენზიების გაცემასთან დაკავშირებით ინფორმირებულები არასდროს ყოფილან და მათთვის აზრი არავის უკითხავს.

მსგავსი სიტუაციის თავიდან არიდების საუკეთესო საშუალება პროექტის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესს დაქვემდებარებაა. გარემოზე ზემოქმედების შეფასება, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს პოტენციური ზიანის შეფასებას და მუნიციპალიტეტისგან ინფორმირებული თანხმობის მიღებას, მეორე მხრივ კი, ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვას გადაწყვეტილების მიღების პროცესში და მომავალში მოსალოდნელი უკმაყოფილების თავიდან არიდებას.

5. როგორც გეოსაინფორმაციო პაკეტშია აღნიშნული, სალიცენზიო ობიექტი ხვდება კავთისხევის ტყის ფონდის ტერიტორიაზე. პაკეტში მოცემული რეკომენდაციის მიხედვით, ლიცენზიის გაცემამდე საკითხი უნდა შეთანხმდეს ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან. თუმცა, ტყის ფონდისთვის მიყენებული ზარალის დათვლის გარეშე, აღნიშნული საკითხის შეთანხმებაც ფორმალურ ხასიათს იძენს. იმის შეფასების გარეშე, თუ რომელი სახეობებისგან შედგება ტყის ფონდი, რა ფართობის ტყის საფარი განადგურდება მოპოვებითი სამუშაოების შედეგად, რა სახის პირდაპირმა თუ არაპირდაპირმა ზემოქმედებამ შეიძლება იჩინოს თავი საპროექტო ტერიტორიისა თუ მიმდებარე არეალის მცენარეულობაზე და რა იქნება პროექტის განხორციელებით მიღებული ფინანსური ზარალი, შეუძლებელი იქნება, როგორც მოპოვების პროცესში განსახორციელებელი შემარბილებელი თუ საპრევენციო ღონისძიებების დაგეგმვა, ისე არსებული გარემოს პირვანდელ მდგომარეობამდე აღდგენა და მიყენებული ზიანის სრულად კომპენსაცია მოპოვების დასრულების შემდეგ.

6. გეოსაინფორმაციო პაკეტში ასევე აღნიშნულია, რომ „სალიცენზიო ობიექტის სიახლოვეს ფიქსირდება საავტომობილო გზა 20-30 მეტრში, ამიტომ ექსპლუატაციის პროცესში სამივე უბანზე უნდა აიკრძალოს აფეთქებითი სამუშაოების ჩატარება“; თუმცა, უცნობია სხვა რა საშუალებებით განხორციელდება მოპოვებითი სამუშაოები, მაინც ხომ არ იქონიებს გავლენას დამუშავების თუნდაც სხვა მეთოდების (მაგ: ბურღვის) გამოყენება ტერიტორიის გეოლოგიურ სტაბილურობაზე და ხომ არ შეუქმნის ის საფრთხეს ასე ახლოს საავტომობილო გზის არსებობას და მასზე უსაფრთხო გადაადგილებას.

ყველა ზემოაღნიშნული საკითხის გათვალისწინებით, აუცილებელია, რომ სოფელ წინარეხში კირქვის მოპოვების აღნიშნული პროექტი დაექვემდებაროს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას; სხვაგვარად, შეუძლებელია სრულფასოვნად შეფასდეს ყველა ის ზემოქმედება, რომელმაც შესაძლოა თავი იჩინოს მოპოვების პროცესში, გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს გარემოს და მოსახლეობას და გამოიწვიოს ადგილობრივების პროტესტი.